NEWSLETTER

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

ქალთა ფონდმა საქართველოში 2017 წელს გასცა 63 გრანტი

სექტემბერი - დეკემბერი 2017წ.

კატო მიქელაძის პრემიის ახალი გამარჯვებული

კატო მიქელაძის პრემიის გამარჯვებული წელს ქეთევან ხიდაშელი გახდა, გურიის რეგიონიდან.

ქეთევანი აქტიურად ცდილობს ადგილობრივ თვითმმართველობაში დაიცვას მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები და მიაწვდინოს მათ ქალების ხმა.

ის სხვადასხვა გზით ეხმარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს. ქეთევანი და მისი ორგანიზაცია ამჟამად ოთხი მიმართულებით მუშაობს: სათემო ფილანტროპია, ოჯახში ძალადობის პრევენცია, ახალგაზრდული პროგრამები, ადგილობრივ თვითმართველობასთან თანამშრომლობა. ქეთევანი მუდმივად მუშაობს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე გურიის რეგიონში და პარალელურად, ხელს უწყობს ფემინისტური ღირებულებების პოპულარიზაციას.

პრემიაზე სულ **ნომინირინებული იყო 15 ქალი**, რომელთა ნაწილმა დაჯილდოების ცერემონიაზე საკუთარ საქმიანობაზე, დაბრკოლებებზე, მიღწევებსა და რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა. მათი საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციისვის გაეცანით ფონდის მიერ მომზადებულ ბროშურას.

გამარჯვებულს ჯილდო კატო მიქელაძის სახელობის პრემიის 2016 წლის მფლობელმა, ეკატერინე სხილაძემ გადასცა.

ქეთევან ხიდაშელისთვის ფულადი ჯილდო ჰოლანდიურმა ქალთა ფონდმა „Mama Cash"-მა დააწესა, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამა პრიზის სახით უზრუნველყოფს მის დასწრებას გაეროს ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის სხდომაზე, რომელიც ნიუ იორკში 2018 წლის მარტში გაიმართება.

იხილეთ ვრცლად

საგრანტო კონკურსები

სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით "ქალთა ფონდმა საქართველოში" გამოაცხადა ორი საგრანტო კონკურსი:

- საქართველოში ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა
- ქალთა უფლებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობა

ფემინისტური დიალოგი თაობათა შორის

24-25 ნოემბერს, კიევში გაიმართა ქართული, უკრაინული და გერმანული ქალთა ფონდების შეხვედრა, რომლებმაც ერთად განახორციელეს პროექტი "ფემინისტური დიალოგი თაობათა შორის".

სამივე ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების და ფონდების წარმომადგენლებმა იმსჯელეს **ფემინისტების სხვადასხვა თაობებს შორის კომუნიკაციის სიმცირეზე და მათი დაახლოების გზებზე.**

შეხვედრას საქართველოდან ესწრებოდნენ ახალგაზრდა ფემინისტთა საინიციატივო ჯგუფის, ქალთა საინფორმაციო ცენტრის და საფარის წარმომადგენლები.

იხილეთ ვრცლად

ქალთა მიმართ ძალადობის დაფარული ფორმების დაძლევა - 3 წლის შეჯამება

"ქალთა ფონდმა საქართველოში" 2015-2017 წლების განმავლობაში **"ქალთა მიმართ ძალადობის დაფარული ფორმების დაძლევის" პროგრამის ფარგლებში გასცა 36 გრანტი.**

20 დეკემბერს სამი წლის გრანტის მიმღებები მიღწეული შედეგების შესაჯამებლად და ერთმანეთის გასაზიარებლად შეიკრიბნენ.

ქალთა ფონდმა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის დაფარული ფორმების დაძლევის საგრანტო პროგრამის 4 ფაზა განახორციელა.

იხილეთ ვრცლად

23-26 ოქტომბერს "ქალთა ფონდი საქართველოში"-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქალთა საერთაშორისო ფონდების ქსელის "Prospera" ორგანიზებულ შეხვედრაში კოღომბოში, რომლის **მთავარი თემა იყო ქალთა, გოგონათა და ტრანს ადამიანებისთვის შესაბამისი უფლებრივი გარემოს შექმნა: წინააღმდეგობა და მდგრადობა ადგილობრივ და გლობალურ დონეზე.**

იხილეთ ვრცლად

7-10 სექტემბერს გაიმართა **ტუნისის რიგით მესამე ფემინისტური ხელოვნების ფესტივალი**, რომლისთვისაც შერჩეულ ნამუშევრებს შორის მოხვდა ქართველი ხელოვანის, ლია უკლებას ნახატიც.

მხატვრის ტუნისში გამგზავრება "ქალთა ფონდმა საქართველოში" და გლობალურმა ქალთა ფონდმა დააფინანსა.

იხილეთ ვრცლად

"ქალთა ფონდი საქართველოში"-ს და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს მხარდაჭერით **ჩაიწერა 6 ახალი პოდკასტი.**

იხილეთ ვრცლად



"ქალთა ფონდი საქართველოში"-ს მხარდაჭერით შეიქმნა **პირველი ქართული ვებ-გვერდი სექსუალურ განათლებაზე** - "ყველაფერი შენ შესახებ"

იხილეთ ვრცლად